

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №145
2016 წლის 12 თებერვალი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 04/01/2016, სარეგ. კოდი: 190020020.35.157.016241) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,302.3	8,501.1	2,968.1	5,533.0	7,476.8	1,596.8	5,880.0	6,040.0	6,050.0	6,060.0
გადასახადები	1,304.5	806.0	0.0	806.0	1,450.0	0.0	1,450.0	1,445.0	1,445.0	1,445.0
გრანტები	6,478.6	7,193.1	2,968.1	4,225.0	5,615.7	1,596.8	4,018.9	4,292.0	4,302.0	4,312.0
სხვა შემოსავლები	519.3	502.0	0.0	502.0	411.1	0.0	411.1	303.0	303.0	303.0
ხარჯები	5,257.2	5,717.9	25.0	5,692.9	5,461.3	0.0	5,461.3	5,162.1	5,172.1	5,172.1
შრომის ანაზღაურება	1,897.1	1,590.8	0.0	1,590.8	1,449.4	0.0	1,449.4	1,602.3	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,503.7	1,459.6	25.0	1,434.6	1,627.6	0.0	1,627.6	1,552.0	1,562.0	1,562.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	1,361.4	1,705.3	0.0	1,705.3	1,925.0	0.0	1,925.0	1,631.0	1,631.0	1,631.0
გრანტები	0.0	388.0	0.0	388.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	480.0	510.9	0.0	510.9	384.5	0.0	384.5	355.0	355.0	355.0



სხვა ხარჯები	15.0	63.3	0.0	63.3	74.8	0.0	74.8	21.8	21.8	21.8
საოპერაციო საღდო	3,045.1	2,783.2	2,943.1	-159.9	2,015.5	1,596.8	418.7	877.9	877.9	887.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,228.1	4,416.6	3,291.5	1,125.1	2,825.1	2,104.0	721.1	877.9	877.9	887.9
ზრდა	2,262.2	4,522.7	3,291.5	1,231.2	2,945.1	2,104.0	841.1	877.9	877.9	887.9
კლება	34.1	106.1	0.0	106.1	120.0	0.0	120.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	817.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	817.0	0.0			0.0			0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1,633.4	348.4	1,285.0	809.6	507.2	302.4	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	8,336.5	8,607.2	2,968.1	5,639.1	7,596.8	1,596.8	6,000.0	6,040.0	6,050.0	6,060.0
შემოსავლები	8,302.3	8,501.1	2,968.1	5,533.0	7,476.8	1,596.8	5,880.0	6,040.0	6,050.0	6,060.0
არაფინანსური აქტივების კლება	34.1	106.1	0.0	106.1	120.0	0.0	120.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	7,519.4	10,240.6	3,316.5	6,924.1	8,406.4	2,104.0	6,302.4	6,040.0	6,050.0	6,060.0
ხარჯები	5,257.2	5,717.9	25.0	5,692.9	5,461.3	0.0	5,461.3	5,162.1	5,172.1	5,172.1



არაფინანსური აქტივების ზრდა	2,262.2	4,522.7	3,291.5	1,231.2	2,945.1	2,104.0	841.1	877.9	877.9	887.9
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	817.0	-1,633.4	-348.4	-1,285.0	-809.6	-507.2	-302.4	0.0	0.0	0.0

3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7476.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,302.3	8,501.1	2,968.1	5,533.0	7,476.8	1,596.8	5,880.0	6,040.0	6,050.0	6,060.0
გადასახადები	1,304.5	806.0	0.0	806.0	1,450.0	0.0	1,450.0	1,445.0	1,445.0	1,445.0
გრანტები	6,478.6	7,193.1	2,968.1	4,225.0	5,615.7	1,596.8	4,018.9	4,292.0	4,302.0	4,312.0
სხვა შემოსავლები	519.3	502.0	0.0	502.0	411.1	0.0	411.1	303.0	303.0	303.0

4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5615,7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა		2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის			
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები			



გრანტები	6,478.6	7,193.1	2,968.1	4,225.0	5,615.7	1,596.8	4,018.9	4,292.0	4,302.0	4,312.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6,478.6	7,193.1	2,968.1	4,225.0	5,615.7	1,596.8	4,018.9	4,292.0	4,302.0	4,312.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,225.0	4,225.0	0.0	4,225.0	4,018.9	0.0	4,018.9	4,292.0	4,302.0	4,312.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,008.0	4,008.0	0.0	4,008.0	3,801.9	0.0	3,801.9	4,000.0	4,010.0	4,020.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	217.0	217.0	0.0	217.0	217.0	0.0	217.0	292.0	292.0	292.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,253.6	2,968.1	2,968.1	0.0	1,596.8	1,596.8	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	1,540.5	1,268.7	1,268.7	0.0	1,596.8	1,596.8	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	713.1	714.8	714.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა პროექტები	0.0	984.6	984.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	984.6	984.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5461,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	5,257.2	5,717.9	25.0	5,692.9	5,461.3	0.0	5,461.3	5,162.1	5,172.1	5,172.1



შრომის ანაზღაურება	1,897.1	1,590.8	0.0	1,590.8	1,449.4	0.0	1,449.4	1,602.3	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,503.7	1,459.6	25.0	1,434.6	1,627.6	0.0	1,627.6	1,552.0	1,562.0	1,562.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	1,361.4	1,705.3	0.0	1,705.3	1,925.0	0.0	1,925.0	1,631.0	1,631.0	1,631.0
გრანტები	0.0	388.0	0.0	388.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	480.0	510.9	0.0	510.9	384.5	0.0	384.5	355.0	355.0	355.0
სხვა ხარჯები	15.0	63.3	0.0	63.3	74.8	0.0	74.8	21.8	21.8	21.8

6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2825.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 2945.1 ათასი ლარის ოდენობით:

ორგ.კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	29.6	192.2	26.6	7.9	7.9	7.9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2.0	0.0	0.0	100.0	100.0	100.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2,230.6	4,330.5	2,918.5	720.0	720.0	730.0
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა და სპორტი	0.0	0.0	0.0	50.0	50.0	50.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სულ		2,262.2	4,522.7	2,945.1	877.9	877.9	887.9

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 120.0 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	34.1	106.1	120.0	0.0	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	38.7	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	34.1	67.4	120.0	0.0	0.0	0.0
მიწა	34.1	67.4	120.0	0.0	0.0	0.0

7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,304.3	2,473.4	2,357.5	2,013.9	2,013.9	2,013.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,304.3	2,473.4	2,356.5	2,013.9	2,013.9	2,013.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,293.1	2,473.4	2,326.5	1,963.9	1,963.9	1,963.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	11.2	0.0	30.0	50.0	50.0	50.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	103.8	80.0	76.6	105.3	105.3	105.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	357.0	401.0	0.0	461.5	461.5	461.5
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	357.0	401.0	0.0	461.5	461.5	461.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,384.6	2,108.6	361.3	299.8	309.8	309.8
7045	ტრანსპორტი	692.2	1,307.3	203.4	294.9	304.9	304.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	692.2	1,307.3	203.4	294.9	304.9	304.9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა	692.4	801.3	157.9	4.9	4.9	4.9



	ეკონომიკურ საქმიანობაში						
705	გარემოს დაცვა	1,028.5	2,034.9	761.8	568.5	568.5	568.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	362.2	394.1	527.8	558.0	558.0	558.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2.8	523.9	17.1	10.5	10.5	10.5
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	663.5	1,116.9	216.9	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	601.5	1,002.5	2,673.1	560.0	560.0	570.0
7061	ბინათმშენებლობა	102.0	515.9	1,261.1	140.0	140.0	150.0
7063	წყალმომარაგება	214.2	329.7	1,134.9	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	162.8	156.9	277.1	420.0	420.0	420.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	122.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	72.8	77.6	90.0	71.0	71.0	71.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	72.8	77.6	90.0	71.0	71.0	71.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	636.8	814.2	787.0	825.0	825.0	825.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	147.4	157.1	160.0	190.0	190.0	190.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	489.4	657.1	627.0	635.0	635.0	635.0
709	განათლება	474.2	607.6	738.0	700.0	700.0	700.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	474.2	607.6	738.0	700.0	700.0	700.0
710	სოციალური დაცვა	551.4	640.8	561.1	435.0	435.0	435.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	226.2	317.7	200.0	150.0	150.0	150.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	226.2	317.7	200.0	150.0	150.0	150.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	90.4	107.2	150.0	80.0	80.0	80.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	108.3	126.6	102.5	135.0	135.0	135.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	69.5	89.3	108.6	70.0	70.0	70.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	57.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



სულ	7,514.9	10,240.6	8,406.4	6,040.0	6,050.0	6,060.0
-----	---------	----------	---------	---------	---------	---------

8. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №137 დადგენილების მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების თანახმად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასანაზღაურებლად გამოყოფილი იქნა 1596,8 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული წესის საფუძველზე, შესაბამისი სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული პროექტები (დანართი 1).

„2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქ. კანონის მე-18 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის მიერ თანადაფინანსების ოდენობად განისაზღვროს შესაბამისი სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული პროექტების ღირებულების 5%. ($1\,680\,850 \times 5\% = 84\,043$);

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში – ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება, აღნიშნული ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 29.8 ათასი ლარი. 30,0 ათასი ლარით დაფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-



რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება.

ა.ა) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 979,8 ათასი ლარიდან 2016 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხოს 2015 წელს შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები:

- სოფელ კოდაში სოფლიდან სასაფლაომდე საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოებიდან – 0,2 ათასი ლარი.
- სოფელ ასურეთში შიდა გზების მოასფალტებისა და სანიაღვრეს მოწყობის სამუშაოებიდან 4,9 ათასი ლარით.

ა.ბ) ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2016 წელს 22,3 ათასი ლარით დაფინანსდეს 2015 წელს შესრულებული სამუშაოები: 13,7 ათასი ლარით დაფინანსდეს სოფელ კოდაში სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 8,6 ათასი ლარით დაფინანსდეს ქ. თეთრიწყაროში, ტყის ჩიხის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები.

ა.გ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 25 დეკემბრის №2797 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1268,9 ათასი ლარიდან 2016 წელს დაფინანსდეს 116,3 ათასი ლარით შემდეგი პროექტები:

- სოფელ ასურეთში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია 2,4 ათასი ლარი
- ქალაქ თეთრიწყაროში საქარველოს ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 14,1 ათასი ლარით
- ქალაქ თეთრიწყაროში ჯავახიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 21,2 ათასი ლარი
- ქალაქ თეთრიწყაროში გორგასლის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 24,1 ათასი ლარი
- ქალაქ თეთრიწყაროში კრწანისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 9,1 ათასი ლარი
- ქალაქ თეთრიწყაროში 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 25,9 ათასი ლარი
- სოფელ დიდი თონეთში ცენტრალური გზის დარჩენილი ნაწილის მოასფალტების სამუშაოები 19,5 ათასი ლარი

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“ 150,0 ათასი ლარით, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. აგრეთვე 125,0 ათასი ლარით დაფინანსდება ბორბალოს ჭაბურღილის მოწყობა; 45,0 ათასი ლარით დაფინანსდება ფარცხისის ჭაბურღილის მოწყობა, ხოლო 70,0 ათასი ლარით ენაგეთის ჭაბურღილის მოწყობა. 20,0 ათასი ლარით დაფინანსდება წყალმომარაგების სისტემის საპროექტო საღარჯთაღრიცხო დოკუმენტების მომზადება.

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2016 წელს 7,7 ათასი ლარით დაფინანსდეს 2015 წელს შესრულებული სამუშაოები: სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფელ გოლთეთში სასმელი წყლის არსებული რკინის რეზერვუარების სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოები, წყლის გამანაწილებლების და გამანაწილებლებისთვის ოთახის სამშენებლო სამუშაოები, სოფელ დუმიანისში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; არდისუბანში ჭაბურღილის მოწყობა 3,5 ათასი ლარით; 12,7 ათასი



ლარით დაფინანსდეს სოფელ ერტისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები (მრავალწლიანი შესყიდვა 2015-2016 წ.წ.);

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ 979,8 ათასი ლარიდან 2016 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში დაბრუნებული იქნას 2014 წელს შესრულებული პროექტებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები: სოფელ ალგეთში სასმელი წყლის სისტემის და სათავე ნაგებობის მოწყობის, სოფელ ჩხიკვთაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის, სოფელ წინწყაროში სასმელი წყლის სისტემისა და შიდა ქსელის მოწყობის, სოფელ ბოგვში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვიდან 5,1 ათასი ლარი;
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და 25 დეკემბრის №2797 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1268,9 ათასი ლარიდან 5,5 ათასი ლარით დაფინანსდება შემდეგი საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი და საექსპერტო მომსახურება: სოფელ მუხათში ფაბრიკის დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა, სოფელ ჯორჯიაშვილში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა, სოფელ ტბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვალი №175 განკარგულების თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1596,8 ათასი ლარიდან 655,9 ათასი ლარით დაფინანსდება შემდეგი პროექტები: სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 276,4 ათასი ლარით; სოფელ ჯორჯიაშვილში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა -121,7 ათასი ლარით; სოფელ მუხათში, ფაბრიკის დასახლებაში და სოფელ ტბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა – 68,6 ათასი ლარით; სოფელ დიდი ირაგისა და სოფელ წინწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 109,7 ათასი ლარით; სოფელ ჭივჭავში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის ტუმბოსა და სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მოწყობის რეაბილიტაციის სამუშაოები – 79,5 ათასი ლარით (დანართი №1).

ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია 5,1 ათასი ლარი.

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 979,8 ათასი ლარიდან 2016 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული იქნას 2015 წელს შესრულებული პროექტებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები: სოფელ მუხათში (ფაბრიკის დასახლების) საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან 11,3 ათასი ლარი და სოფელ მუხათში (ფაბრიკის დასახლების) საკანალიზაციო სისტემის საპროექტო სამუშაოებიდან 0,7 ათასი ლარი.

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, 72,3 ათასი ლარით დაფინანსდება აგრეთვე გარე განათების არსებული ქსელის მოვლა – შენახვა. განათება, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობისათვის განსაზღვრულია 70,0 ათასი ლარი. 10,0 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების საპროექტო სადარჯთაღრიცხო დოკუმენტების მომზადება, ხოლო 10,0 ათასი ლარი განისაზღვროს ტექ. პირობის ასაღებად.



ადგილობრივი ბიუჯეტით 2016 წელს 0,4 ათასი ლარით დაფინანსდეს 2015 წელს დაწყებული პროექტი: დაბა მანგლისში პეტრე – პავლეს სახელობის ეკლესიის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა; ხოლო 44,4 ათასი ლარით დაფინანსდეს ქ.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა. (მრავალწლიანი შესყიდვა 2015-2016 წ.წ)

ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, 523,8 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნას 4,0 ათასი ლარი

ბ.ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

- „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №1106 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 806,2 ათასი ლარიდან 2016 წელს 66,5 ათასი ლარი გადარიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში 2014 წელს შესრულებული პროექტებიდან დარჩენილი ეკონომია:

- სოფელ დიდ ნამტვრიანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ შამთაში მისასვლელი №1 და №2 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 14,0
- სოფელ დუმანისში მისასვლელი გზისა და ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 1,8 ათასი ლარი;
- სოფელ ივანოვკაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 5,7 ათასი ლარი;
- სოფელ საფუძვრებში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 35,4 ათასი ლარი;
- სოფელ იფნარა-სამღერეთში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 5,0 ათასი ლარი;
- სოფელ დუმანისში წყაროს მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 4,6 ათასი ლარი

- „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 ივნისის №1211 განკარგულების საფუძველზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 614,4 ათასი ლარიდან 2016 წელს 60,5 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- სოფელ დიდი ირაგის და ჯიგრაშენის 2 ხიდის სამშენებლო სამუშაოებისათვის 50,6 ლარი
- სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის ერთი ჭაბურღილის მოწყობა 9,9 ათასი ლარი

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით გამოყოფილი 200,0 ათასი ლარიდან 2016 წელს დაფინანსდეს 25,3 ათასი ლარით წყლულეთთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1981 განკარგულებით გამოყოფილი 450,0 ათასი ლარიდან 2016 წელს დაფინანსდეს 64,6 ათასი ლარით. სოფელ დიდი და პატარა ირაგაში დაზიანებული მისასვლელი გზის სამუშაოები, სოფელ გუდარეხისა და სოფელ ვაკეში მისასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთარრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

გ.ა) საბავშვო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)



ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება თამარ მეფის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე პარკის მოწყობა 100,0 ათასი ლარი. 10,0 ათასი ლარით დაფინანსდება სპორტული მოედნებისა და სკვერის საპროექტო საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება, 20,0 ათასი ლარით დაფინანსდეს არასაცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება.

- 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება 2015 წელს დაწყებული სამუშაოები: 19,3 ათასი ლარით თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები; 0,4 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში ი.გ.პ. დასახლებაში არსებული შენობის (მუსიკალური სკოლის) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 22,6 ათასი ლარით დაფინანსდება გოლთეთის ბაღის, კოდის საბავშვო ბაღის, წინწყაროს საბავშვო ბაღის, ხაიშის საბავშვო ბაღის, ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღის, თეთრიწყაროს №1 და №2 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის №2797 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1268,9 ათასი ლარიდან დაბა მანგლისში წერეთლის №5-ში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1,5 ათასი ლარით.
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ქ.თეთრიწყაროში დიდგორის ქუჩაზე არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები 33,8 ათასი ლარით (მრავალწლიანი შესყიდვა); 4,0 ათასი ლარით დაფინანსდება დ.მანგლისში, გოლთეთის ბაღის, კოდის საბავშვო ბაღის, წინწყაროს საბავშვო ბაღის, ხაიშის საბავშვო ბაღის, ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღის, თეთრიწყაროს №1 და №2 საბავშვო ბაღებში ბუნებრივ აირზე და ცენტრალურ გათბობისათვის საჭირო საპროექტო საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოები (მრავალწლიანი შესყიდვა 2015-2016 წ.წ.);
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვალის №175 განკარგულების თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1596,8 ათასი ლარიდან 940,9 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები: სოფელ ბორბალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 101,7 ათასი ლარით; სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 444,7 ათასი ლარით; სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 394,5 ათასი ლარით (დანართი №1).
- სათემო ფონდი „კოდორი 1013“ თანადაფინანსება 4,8 ათასი ლარი.

გ. ბ) ურბანული ტერიტორიის მოწყობა, (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.თეთრიწყაროში, დიდგორის ქუჩაზე მდებარე კორპუსების ეზოში ატრაქციონების მოწყობა 25,0 ათასი ლარი.

- ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება 20,0 ათასი ლარი.

გ.გ) მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების – ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)



- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ 713,1 ათას ლარიდან 54,5 ათასი ლარი დაბრუნდეს ცენტრალურ ბიუჯეტში, შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია.
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ 714,8 ათას ლარიდან 2016 წელს დაფინანსდეს 90.4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10,6 ათასი ლარი.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში დაფინანსდება 17 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 750-ზე მეტი ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

ბ) მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და მოსახლეობის ტრანსპორტირება კულტურულ ღონისძიებებზე.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

